

# საქსესო

## გაზეთი

**რედაქციისაგან**

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

**გაზეთის ფასი:**  
**ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.**  
**წლის დამფასებად 75 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კაპ., ტექსტის შუა 40 კაპ. საპელოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა 3-ე ტენბერგისა, ოლგისა და სლევტოვის ქუჩების კუთხე.

კვირა, 25 ოქტომბერი. 1909 წ. კვირა, 25 ოქტომბერი.

**ქართული თეატრი**  
 კვირას, 25 ოქტომბერს, 1909 წ.  
 ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:  
 ნ. შ. გაბუნია-ცაგარდის და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით.

### მრი ჯიბბირი

მელოდრამა 5 მოქმედებად და 6 სურ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეული, მ. მდივანი, ნეპიერიძისა, მ. ქიქოძე, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. კადეგანაძე, გრიშაშვილი, ნ. გვარამია. ო. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმუღაშვილი-ხაშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფარაძე, მერჯანიშვილი.

ადგილების ფასი: ლოკები 10 მ. 50 კ. დამ, 5 მან მდე, პარტერი 2 მ. 50 კ. დან, 60 კ. მდე, გალერეა 40 კ. დან 20 კ. მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე. რეჟ. თან. ვ. ურუშაძე.

დ. რ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

### ქართული თეატრი

სამშაბათს, 26 ოქტომბერს 27-ს,  
 წერეთლის საზოგადოების გამკეობის მიერ

### განიმართება

### ილია ჭავჭავაძის საღამო

1. განყოფილება: „სქესი, სიყვარული და „განდგეილი“ — ლეპტოკა გრ. რობაქიძისა.
2. კონცერტი ვანო სარაჯიშვილის, ი. ბარათაშვილის, ნ. გაბუნია-ცაგარდის და სხვათა მონაწილეობით.
3. ცხოველი სურათები ილიას თხზულებიდან („დღეა და შვილი“, „კაკო“, „აჩრდილი“, „პოეტი“, „დიმ. თავდად.“, „გაზაფხული“, „გუთნის დედა“) დეკლამაციით.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

### გაიხსნა ტფილისის კერძო ხალი

### სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საფორგიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს. **ღამაშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყ. დღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

**მადეგანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. თრზ., ოთხშ., და პარ. 10<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11 ს. **გუგუშვილი მ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარგინი ა. ა.** კან. და გენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. **მალაღვიანი მ. მ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსაბოტაძე ვ. მ.** შინ., ორშ., პუტოშ., და შაბ. 1—2 ს. **მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედა-ბავშვ. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

### ბიურო გაგალოვისა.

მთავრობის ნებართვით, დგორცოვის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლში № 6 (ფო 8) გახსნილია ბიურო საფარავ მათინისა. ყველა ენაზედ ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია. საქმის სწრაფად შესრულებაზედ, სისუფთავეზედ და გრამატიკულ მართლწერაზედ მიქცეულია განსაკუთრებული ყურადღება.

იქვე იწერება ყველანაირი თხოვნები, საქმის ქალაღებში. პირობის წერილები, სააპეკუნო ანგარიშები, ვასაციისა და აპელიაციის საჩივრები, თხოვნები უმაღლეს სახელობაზედ მისართმევად, გამოწერვ-გამოტანა გირაენობის მოწმობისა ყველა ბანკებისათვის უძრავ მამულისა.

ბიურო ღია ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე 2 საათამდე. ნაშუადღევს 3—7 საათამდე. (10—1)

### ვოგელის

### პერკო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგელის ქ., № 8, ს. ენუიანჯიანცის, ტელეფ. 695.

**ვახაშვილი**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**გომარტელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ნ. დიანაშვილი**—ყოველ დღე, 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

### ვ. არღაზიანეა

განახალა ავადმყოფების მიღება. ბავშვების და შინაგან ავადმყოფ. ადრესი: კუთხე მელიქიშვილის და ალექსანდროვის ქუჩა ინტენდანსტვოს პირდაპირ. 9-ე საპ. უბანში.

იღებს ავადმყოფებს დღით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 ს.

### ოჯახი შიკაა.

(წერილი მეორე).

ჩვენ გამოვხატეთ იმ ოჯახის სახე, როგორც, ჩვენის აზრით, უნდა არსებობდეს კაცობრიობის ცხოვრებაში. ეხლა გაფარჩიოთ ძველი და ახალი ოჯახის მიმართულება და მით გამოვიკვლიოთ, თუ რამ შეარყია

საქსესო გაზეთი. 1909 წ. ოქტომბერი. 25-ე კვირა.

და გამოუთხარა საძირკველი დღე-ღამეობა და დაიწყო.

ამ საგნის გამოკვეთისთვის კაცს დიდი დაკვირვება და ოჯახობის შესწავლა ეჭირვება. ეს ტვირთი თუმცა ძნელი ტვირთია, რადგანაც ოჯახის ფარდა მსურველს უღობაშს გზას გაიცნოს ნამდვილად ღირსება და ნაკლი სხვის ოჯახისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვისარგებლებო ჩვენის ცნობით და სხვის დაკვირვებით.

ძველ ოჯახს მცნებად ჰქონდა, კეთილ-დღეობა სამშობლოსი. ის უზრდილა საქართველოს ნამდვილ მამულის შეიღებს, მკვიდრად დამყარებულთ ქრისტეს მცნებაზე და კაცთმოყვარეობაზე. ესრეთ აღზრდილი მამულის შეიღები, ზნეობით აღმატებულნი, თაყვანსა სცემდნენ ქრისტეს მოძღვრებას, სამშობლოს და თავდადებით იცავდნენ მტრებისაგან იმათ უზენაესი ღირსებას.

საქართველოს ისტორია გვისანელებს ბევრ ქართველთ გმირებს, რომელთაც, დასაცველად ქრისტიანობისა და სამშობლოსი, ბრძოლის ველზედ უმსხვერპლეს სამშობლოს თავისი ძვირფასი სიცოცხლე.

მამასახლისად ოჯახისა იყო მამა და მის თანაშემწედ ჯალაბი—დედა. მშობლებს და შეიღებ შორის სუფევდა მკვიდრი ზნეობითი კავშირი. წევრნი ოჯახისა, ზნეობით გამტკიცებულნი, მისდევდნენ ერთმანეთს სწავლით, შრომით იფარავდნენ ოჯახის პატიოსნებას. შეიღებს კერძობით დრო ჰქონდათ თავიანთ შორის განაწილებული.—ყველა მათგან

ნი ჯერ-ჯერობით საქმეზედ იდგა. შრომა იმათ აზნებებდა და ოცნებას აშორებდა.

რადგან ოჯახი პირველ დაწყებითის სკოლა იყო, ამისთვის დედ-მამას სწავლისთვის თავიანთ ბავშვებისთვის გეგმა ჰქონდათ შედგენილი: შეიღები დანიშნულ დროს წერა-კითხვას, სამღვთო წერილს და ანგარიშს სწავლობდნენ, მწერლების ნაწარმოებს კითხულობდნენ და ითვისებდნენ. შოთა რუსთაველს ოჯახობის წევრებზედ დიდი ზნეობითი გავლენა ჰქონდა. იმის თხუზულების „ვეფხვის ტყაოსნის“ შესწავლისთვის, დრო გამოშვებით, სხვა-და-სხვა ოჯახობის ქალები იკრიფებოდნენ ნაცნობის სახლში და ერთი იმათგან, გამოჩენილი მკითხველი და მეტყველი უკითხავდა „ვეფხვის ტყაოსანს“ და გარკვევით უხსნიდა იმათ შინაარსს ამ შესანიშნავის თხუზულებისას. ქალის გათხოვებას დროს პატარძალს ზოგიერთი დედ-მამა მზითავში, „ვეფხვის ტყაოსანსაც“ ატანდა.

ი. წინამძღვი შეიღი.

საზღვრო ბანკი

I.

ვის არ მოეხსენება, რომ ქართველ გლეხ-კაცობას ძრვიელ ცოტა სახნავ-სათესი მამული აქვს. გლეხ-კაცი ჩვენში სხვა-და-სხვა ჯურისა და გვარისაა, ზოგი მესაკუთრეა, ზოგი ხიზანი, ზოგი ნაბატონარი, ანუ დროებით ვალდებული და ზოგიც სახაზინო.

რვილი, სულ ფიქრობდა და სახსარს ეძებდა, თუ რა გზით შეიძლებოდა შეეძინა კაცს ერთიანი ფული.

ზაფხულის დამლევს, ერთ კვირა საღამოს, მუშტაიდის მეორე ნაწილის სასეირნოში, საცა უფრო მდაბიო ხალხი იყრის თავს, შეექცევა შავს ლუდს, და კაცი თუ ქალი დაურიდებლათ ატვრევს მზის უმზირას კაკალს.

მუსიკაც უკრავს ახირებულ ხმებს და ქალაქის მატანტალა ბიჭები, გაშლილ მინდორზე თავისუფლად დახტიან. „როტონდოს“ ეძახიან ამ ადგილს. გრძლად გადახურულ „როტონდოს“ ერთ თავში, კუთხეში მიმჯდარიყო შაქრო და სამი ვილაც უცნობი. ლუდს სვამდნენ და რაღაცაზე ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ. მათი ლაპარაკი არავის არ ესმოდა. ღამის თორმეტი საათი გახდა, ეუსიკა წავიდა, ხალხი სულ დაიშალა და შემდეგ ძლივს მოაგონდათ შაქროს და მის ამხანაგებს ლაპარაკის შეწყვეტა.

— აბა, ვინძლო კარგად მოახერხო, არაფერი შეგატყონ, ან შენ რამე არ გეგნოს კაცო.—უთხრა შაქრომ ერთს.—წასვლის დროს.

საქართველოს ეკლესიის თავისუფლების დროს იყო კიდევ ერთგვარი გლეხ-კაცობა, რომელსაც საეკლესიოს ეძახდნენ. ესენი სცხოვრობდნენ საეკლესიო მამულებზე და ქართულ ეკლესიას აძლევდნენ ღალა-კულუხს. მამულები რომ ჩამოართვეს ეკლესიას და ხაზინას ჩააბარეს, ამ გლეხებსაც სახაზინო ღაარქვეს.

შედარებით სახაზინო გლეხებს უფრო მეტი მამული უჭირავთ, ვიდრე სხვა ჯურის გლეხებს, თუმცა ისინიც დიდ გაჭირვებას განიცდიან მკირე მამულიანობის გამო.

როგორც ჩვენში და რუსეთში, აგრედვე სხვაგან, ჩვენზე უფრო დიდად განათლებულ და წინ წასულ ევროპაში უფასოდ, უსასყიდლოდ მამულს არაფერს ურიგებს გლეხ-კაცობას. ამის გამო ერთად-ერთი საშუალება მამულის შესაძენად ისაა, რომ გლეხმა კაცმა მისი მარჩენალი მამული ფასით, სყიდვით შეიძინოს. სხვა გზით მამულის შოვნა ჯერ-ჯერობით მაინც და დიდხანს შემდეგშია ცუნაყოფო ოცნება იქნება. ასეთი ოცნება ჩვენ, ქართველებისთვის უფრო იმიტომაა მაგნებელი, რომ ვიდრე ჩვენები ყოყმანსა და რყევაში იქნებიან, სხვები უცხოლან მოსულნი, დატაცებენ მამულს და ჩვენის ქვეყნის დიდი მოჭირნახულე, მოამაგე გლეხი და ქვეყნის სიმდიდრის დამზადებელი ცარიელტარიელზე დარჩება. უმამულობა-კი გლეხ-კაცს სრულიად გააღარბ-გააღატაკებს, ძირს დასცემს, თავმოყ-

— ვიცი კაცო ბრიყვი, ყმაწვილი, ხომ არა ვარ.—უბასუხა უცნობმა.

— მე რამდენიც გინდა მაგინე, კანტორაში, სასამართლოშიც, თუკი იქამდის გაგიშვან.

ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს. შაქრო და ერთი ამხანაგი ნაძალადევის გზას გაუდგნენ და ორი უცნობი-კი მუშტაიდის ტყეს შეერივნენ.

მეხუთე თუ მეექვსე დღეს, შაქრო საღამოთი მორიგეობდა, „ვოგზლიდან“ ერევნის მოედნამდის დადიოდა. საღამოს შეიდ საათზე, საბალოსნოს ქუჩის შესახვევთან ისე ძლიერათ მოუშო „ტორმოს“, რომ ველარავითარის სისწრაფით ველარ შესძლო შეჩერება. გაქანებული ვაგონი, მოსახვევთან მომავალ დროგს დაეტაკა და ცხენიან კაციანათ თავდაყირა გადააბრუნა. ხალხი შეჯგუფდა, მედროგემ ყვირილი ასტეხა. პოლიციელებმაც მოიყარეს თავი. წელში გატეხილი ცხენი ხელით გადაათრეეს გზიდან. დამტვრეული დროგიც გადასდგეს და „ვაგონს“ გზა მისცეს. დროგის პატრონი კოჭლობდა და უღვთოთ ილანძღებოდა. შაქრომ-კი გაუტია თავის ურემს

ვარეობას შეულახავს და ასეთი „მოქალაქე“ აღარც თავისთვის ეგარგება და ველარც ქვეყნის მომადგეობა რაშიმე. მშვიერ-მწყურვალნი, ნიამამოლენი, აბრანძულ დაკონკილი, დაჩაგრული და სხვის ხელში მაცურებელი განვრეტილ ბისტად არღირს, ხოლო ღონიერი, ძლიერი ბრგე, თამამი და შეძლებული, ერთის სიტყვით ოჯახის შვილი დიდ იმედი და ნუგეშია იმისთანა დაჩაგრულ ერისათვის, როგორცაა საქართველო.

მამულის შეძენას, ცხადია, ფულუნდა. უფულოდ დამპალ კიტრ არაფერს მოქცემს და უკვდავ მამულს მერე ისიც ცოტათი მაინც თუ გაკეთებუღია, ვინ მოგვაშავებს, ამა მიირთვიო.

ჩვენში მამულს სხვა და სხვა ფასი და ღირებულობა აქვს. არის ისეთი მამული, მწირი, ქვა-კლდიანი ან ქვიშიანი, ჯაგინი, რომ დღიური (1200 ოთხკუთხი საყენი, იმერეთში ქცევა—900 საყენია) თუმანი ღირს, ზოგჯერ ნაკლებიც. არის ისეთი მამულიც რომ დღიური ღირს ხუთი თუმანი, ზოგჯერ ათიც და ამაზე მეტიც. ფასის დადგებაში იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად უჭირს მამულის პატრონი ფული. გაჭირვებული კაცი ხშირად ნახევარ ფასად ჰყიდის მამულს, ხოლო შეძლებულს თუ რიგიანი ფას არ მიეცი, ახლოც არ მიგიკარებს.

ასეა თუ ისე, მამულის შესაძენად საკუთრად ფულია საჭირო და დიდ ფულიც. საშუალოდ დღიური სამ

და შემოფოთებული მგზავრები გააშორა უსიამოვნო სურათს.

მესამე დღეს, შაქრო, თავ-დახრილი და ხელზე ძირ დაშვებული იდგა საზოგადოების „დირექტორის“ „კაბინეტში“ და ისმენდა უკმაყოფილო სიტყვებს.

— ბატონო დირექტორო... ერთხელ მაა... დაიწყო შაქრომ.

— არა, არ შემეძლიან.—გააწყვეტინა სიტყვა მმართველმა.

— არ შემეძლია, თქვენზე ხალხის დადგენილება ეს არის და მე შემეძლია ხალხის კანონს გადასცდე. უთხრა და შეხედა თავის დიდრონი გონიერი შავი თვალებით. შავწვერა უცხოელს ეტყობოდა, თავი არ იყო კმაყოფილი თავის მოქმედებისა, და თვალს არიდებდა დამნაშავე შაქროს. კანონს ასრულებდ მაგრამ კაციც ეცოდებოდა.

— აი, თუნიაშვილო! შენი სამთვის ჯამაგირი. ეს ხომ გჯერა, რომ ამას კანონ გარეშე ჩავდივარ. სამთვის ჯამაგირი ეკუთვნის მას ვისა უღანაშაულოთ ითხოვენ. შენ-კი დენი ზარალი მოგვაყენე, მაგრამ მაინც გაძლევ, რადგან მეცოდები. არაფერი, მე გეტყვი მხოლოდ, რომ

ხატის პარალია?

(შემდეგი \*)

II.

შაქრო, ზოგანო მოქალაქე, მოხუცი დედ-მამის პატრონი და ახალ დაქორწინებული ღამაზე კეკელაზე თბილ ლუკმას სქამდა თავის ღარიბ ქერ ქვეშ. მსახურებდა უსახელო საზოგადოების დაწესებულებაში. რვა საათის განმავლობაში განუწყვეტლივ უშვებდა და უჭერდა ელექტრონის მანქანას, „ტრამვაის“ „ვაგონზე“ დღეში მანეთს იღებდა და თითქო მადრიელი იყო თავის ბედის. მხოლოდ ფიქრობდა მომავალზე მისს საკუთარ ცხოვრების გაუმჯობესობაზე.

— ეჰ, რა არის ჩვენი ცხოვრება, დღეს ვართ და ხვალ არა, სულ დიდი ექვსი ან შვიდი წელი გასძლოს კაცმა ჩვენს სამსახურში. მერე უთუოდ დაავადდებოდა, ელექტრონი ახდენს თურმე კაცს. მერე რაღა უნდა იყოს კაცის ცხოვრება? ჯანდაკარგული და არას მქონეა, იტყობდა ხანდისხან სახლში. გულში-კი ჰქონდა ერთბაშად გამდიდრების სუ-

\*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 7.

ოთხ თუმანად რომ ვიანგარიშოთ, დიდ ფულს დაიჭერს, რადგან თითო კომლს, სადაც ხუთი-ექვსი სული ადამიანია, დასჭირდება არა ნაკლებ ოცდაათ-ორმოცი დღიურისა. სამ თუმანზე 30 დღიური დაიჭერს 900 მანათს, ხოლო თუ ოთხ თუმანს ვიანგარიშებთ, 1200 მანათს. ორმოცი დღიურის ანგარიში დაიჭერს 1200 და 1600 მ.

მერე და სად იშოვნის ამოდენა ფულს ჩვენი წელში გაწყვეტილი გლეხი?

ალექსანდრე ყიფშიძე.

### ქალის საჩივარი.

ქალი სჩიოდა: სიცოცხლე ჩემი,—ბუნგალი, მტვერია, სულ შეხუთვილსა არ მინდობს— არც ვრი, არცა ბერია!... თვით გაჩენილგან მშობელი შიგრავეს ვით—ვყვანდე გერია!?! მეც, მადგან გაბრუნებული ველარც ვტირ,—ველარც ვმღერია!

მასწავლებელი?... ისიც რომ ჩემი მოსიხლე მტერია!... დედ-მამა ხელსა უმართავს სწორედ რომ გასაშტერია!... მგეშამენ, ხშირად ჩამძახენ დათვი გვყავს დასაჭერია, უმაგისოთა ვერ ვბოვო ვერც სახლი, ვერცა ქერია!

ამოსაქშენად, ფიქრისთვის ერთს წუთს არ მომცეს ნებაო. ქალების თავისუფლებით კაცს მიეცემა ვნებაო!...

თქვენი ხალხი უმადურია: არა მუშა, ზარმაცი, მხოლოდ მყვირალი, კეთილ ბოროტის ვერ გამჩრევი. მე, რომ მიყურებთ, მეც თქვენსავით მოსამსახურე ვარ. მხოლოდ უფრო ცოტა მეტი, მინდობილობის პატრონი. ადამიანი მოვალეა, თავის ვალდებულება, კეთილ-სინდისიერათ შეასრულოს. თქვენ-კი წინააღმდეგ სჩადიხართ. ამით მეც უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ. მთელ მოსამსახურეებში ოცი კაცი არ ასრულებს გერმანელ მუშის მოადგილობას.

მარტო, შენ-კი არა, შენისთანები კიდევ ბევრია. აი, დაიხსოვნეთ აქედან, არც მე შევრჩები დიდხანს ამ ადგილს, რადგან ვერ ვარ მაგარი ადმინისტრატორი. რამდენადაც შეიძლება ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცისგან, ხალხის მხარე მეჭირა, თქვენ მაინც უკმაყოფილონი და უმადურნი ხართ. მაგრამ ჩემ შემდეგ მოვა აქ კაცი, რომელიც გახურებულ რკინის რკალში გაგწურავთ. რვა საათის სამუშაოს ათ საათათ გიქცევთ. ყოველ ჩემ დათმობილ პირობებს წავართმევთ და მაშინ-კი მით იქნებით კმა-

მთ შორის გული იღვია მკენსავი სწვენტავს, დნებოა, ყველა მას სდევნის უწყალოდ კაცი თუ ათი მცნებოა.

ვკოცხლობ? არ ვიცი!... სწორედ ვსთქვა:

ან-კი რა დასაჯერია?! ვაყისთვის—ყველა, ქალისთვის? სრულიად არაფერია! გასაყიდს,—დედა ჩამძახის: წელში არ მოგიჭერია, შენი ვაჭარი მოვიდა, ჩქარა წაისვი ფერია!

მეც ვითუთხნები!.. მა რა ვქნა, კაცს მოსწონს შავი ხალები?! მოსწონს ვინც გაპენტილია, ვისაც აქვს ტუჩზედ ლალები. ვინც ცქერით გულს აუწყებს: „უშენოდ გავეწვალები“ და რო განვშორდე მშობელს სახლს, მეც უნდა ვბრანქო თვალეები.

უნდა ვასთხოვდე, გზა არ გაქვს, ვინც უნდა შეგვხედეს ტეტია!.. ერთურთზედ ვფიქრობთ, უცნობი მეორე არის ცეტია! კარგა ხანს ვშფოთობთ, ვტრიალებთ, თავზედ გვეხვევა რეტია, ამ სახით ვსტკებებით, თუ ბოლოს თავში არ მდრუხა კეტია!

თუ ვერ გავთხოვდი, შინ დავრჩი—ყველა მე მებუზღუნება! მუდამ ტრიალში მე თვითონ ხშირად მეცვლება გუნება! წნელადა მგრეხენ, ცხოველ-სულს

ყოფილი, რადგან შეუგნებელ ბრბოს, კეთილ აზროვნებას, ცხარე მათრახი ურჩევნია.—სთქვა ეს მმართველმა აღელვებით. აზროვან და მეტყველ რკინის ფერ სახეზე რაღაც ჩრდილმა გადაჰკრა, მაღალ შუბლზე, ორი ძლივს შესამჩნევი ხაზი აღებუქდა და ნაღვლიანათ ამოისუნთქა. ეტყობოდა გული სტკიოდა ხალხზე და კაცობრიობაზე უცხოელს.

—აიღე ფული თუნიაშვილო და ხელი მოაწერე.—დაუმატა კილოს შეცვლით; ეხლა სასტიკი მმართველი იყო და არა წელანდელი კეთილი მეხალხოსნე (ნაროდნიკა) წინ რაღაც დავთარი გაუშალა.

შაქრო მივიდა, დავთარში ხელი მოაწერა. ცამეტი თუმანი ჯიბეში ჩაიღო, თავი დაუკრა და გავიდა ოთახიდან. მმართველმა გააყოლა მოელვარე თვალეები, კუნაპეტ შავ თმაზე ხელი გადისო, ელექტრონის ზარს ხელი დააჭირა და ფანჯარაში შემოჭრილ მზის სხივებს გაუშტერა თვალი.

მ. გარიყული.

(დასასრული ხუთშაბათს)

სწადიანთ შეთრგუნონ ბუნება, მეტის ცემითა ქვა სტყვრება, კაცი არ მოიღუნება?!

სიყმაწვილიდამ აქამდის ვარდი ხელთ არა მჭერია, ვინც თვალი შემქრა კვებულობს: „მას ყელი გამოვჭერია!“ თუ ვისმე გული მივეცი, კისერში წაუჭერია, ვჩივი, ქვეყანა იძახის: ქალისა დასაჯერია!

მისგანაც მოტყუებული, ვგდივარ ცის ამარ კარშია უგზოდ და უკვლოდ დავდივარ ლუქმისთვის მთა და ბარშია. სულით ხორცამდის გაცრცვნილი დავალ შიშველი ქარშია, ჩემი მტარვალი?.. სახელობს. მან გაიმარჯვა ჯარშია!

ფუ, ტყვიავ! თითქო სწორი ხარ? თოფო!—ჩაგრულთა დამცველი?! თქვენც მე მალალატობთ?! არ კმარობთ, რაც კი ვანთხიე ნახველი?.. სჩანს, გაგრყვანთ თქვენცა ქვეყანამ, მართალთა შეგქმნათ დამწყველი?.. მაშ ჩაგრულს ყველა მოესპო, რაც ჰქონდა ქვეყანად საშველი?!

ცაო! სადა ხარ?.. სად არის აწ შენი სამართალია? ვიწვი, ვიდაგვი, ვნაცრდები, ცხოვრება ყოველად მკრთალაა?.. მოძალეს ყველგან გზას აძლევ, მე გულზედ მიჭერს თალია და სულმაც სავსე ფილაა, მწარე ნაღველი დალია!

ქალის ცხოვრება, ცას ვფიცავ! ძნელი რამ გასავალია! დღე ერთი არის, მისთვის-კი,—ათასი მოსავალია! ცხოვრებას მისგან ვავლილსა—აჩნდება სისხლის კვალია, დასატკბუნებლად, ერთხელ მას თვალი ვერ აუხველია!

ჰკენეს და ჰკენეს, ჰქრები უღღეოდ შეველას ამაოდ მოელი! შეწუხებულსა გამცირებს, ვისაც სწადს, კაცი ყოველი; მასხარად ვახდას—შენსას სცდის კენი, თითონ აბელი... ბოლოს!.. მშველელად ვახდება ან წყალი ანუ საბელი!

### ნუ თუ მართალია?

ერთ ქართულ სკოლიდან ქართული ენა განდევნილია.

### სიღნაღის მაზრა.

II.

წინა წერილში ჩვენ მოკლეთ ვაცანიოთ სიღნაღის მაზრის კინახუ-

ლის მეტ-ნაკლებ მოსავალი. ახლა მოკლეთვე გადავცემთ მკითხველებს რა უშლის ხელს კარგს მოსავალს, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ოცა წლის წინ და შემდეგ წლებში, კახეთში საზოგადოთ დიდი მოუსავლობა იყო ღვინისა; მიზეზი ამისი ნათლათ სჩანდა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა თითქმის ათის წლის განმავლობაში განიცადა სიმშობილი და წყურვილი და ბოლოს მაინც მოტყუნენ და დაუწყეს წამლობა ვენახებს. ვაზს ჰქონდა ორი სატყვიარი ობი (მილდიუმ) ნაცარი (ოიდიუმ). ძლიერ ბევრის წვალეების შემდეგ ძლივს დაარწმუნეს მცოდნე ხალხმა, რომ ვენახებისთვის ეწამლათ. ასე წარმოიდგინეთ, რომ კეტებით იდგნენ ვენახის კარებში და არ უშვებდნენ აგრონომებს, რომ თავიანთივე ხარჯით შეეწამლათ რამდენიმე ვენახი და დაენახებინათ წამლობის სარგებლობა. ბოლოს და ბოლოს ისე დაარწმუნდნენ და დაინახეს შაბიამანის და გოგირდის სარგებლობა, რომ ეხლა რაც უნდა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს სულ ღარიბი გლეხი, გოგო-ბიჭებს მკადს მოაკლებს და წამლობას არ უღალატებს. სამაგიეროთ წამლობამაც არ უმტყუნა და აი ეს ათი წელიწადია უხვათ მოდის მოსავალი, ცოტა არ იყოს გაიმართა წელში გლეხ კაცი და ჩაისველა ყელი. მაგრამ აქაც არ ჩამორჩნენ ჩვენი წურბელები: ერთი ფუთი წამლისთვის ხომ არ ჩამოვიდოდა გლეხი ტფილისში და პირველ ხელიდამ ვერ იყიდდა, უნდა ისევ მიემართნა ვაჭრებისათვის, რომელთაც გულით და სულით გაუღღეს მაღაზიის კარი ტკიბილის ენით ევატიუებოდნენ მშრომელ ხალხს. რაკი მოკლეთ დავპირდი მკითხველებს მოკლეთვე მოჭკრი, რომ ნაღდ ფულზედ ვინც ყიდულობდა ისიც ხომ აძლევდა კარგს სარგებლობას ვაჭარს და ნისიათ ხომ მაშინ ყმად უხდებოდა მშრომელი და თავის ნაწვავ-ნაღავის წვენით ავსებდნენ წურბელების ქვევრებს.

ასე გასინჯეთ, რომ ამ სამი წლის წინათ შაბიამანი 12 მანეთათ იყიდებოდა და ამ სიტყვებით იმართლებდნენ ვაჭრები თავს:—რა ვქნათ „ზბასტოვკებიო“, ბენავ გლეხებსაც სჯეროდათ. დანარჩენი შემდეგ.

### საპუკადლეგი დაკუშების უინაარსი.

გახეთებიდან. თავრიზი. 22 ოქტომბერს თავრიზში დაბრუნდა არდებილიდან გამოქცეული სათარხანი. მიუხედავად იმისა, რომ სათარ-ხანმა არდებილში ვერაფერი გააკეთა, მცხოვრებ-

ლები მაინც აღტაცებით მიეგებნენ. დააპატიმრეს რევოლუციონერი სეიდ-უსეინ-ხანი. მან თავრიზის გაზეთში დაბეჭდა წერილი და აღძრა საკითხი, მაჰმადიან ქალებს ნება მიეცეთ, რომ ჩაღრები აღარ ატარონ.

**თავრიზი.** არღებლიდან იტყობინებიან: რახიმ-ხანმა და შახსევანებმა სულ ერთიანად აიკლეს ქალაქი. გააძრცვეს ღუბნები, ქარვასლები და კერძო სახლები. გუბერნატორმა, ენჯუმენის წევრებმა და სამღვდლოებამ თავი რუსეთის საკონსულოს შეაფარეს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპუტატთა სააგენტომ არღებლის მღვდლმარეობის შესახებ შემდეგი ცნობები მიიღო: გუბერნატორმა, ენჯუმენის წევრებმა და სამღვდლოებამ თავი რუსეთის საკონსულოს შეაფარეს. ამის შემდეგ ქალაქი დაიქირეს შაჰსევანებმა და ყარადაღელებმა, მთელი ქალაქი აკლეს. შაჰსევანებმა რუსეთის კონსულს გუბერნატორის, ენჯუმენის წევრების და სამღვდლოების გაცემა მოსთხოვეს. მოსალოდნელია, რომ შაჰსევანები და ყარადაღელები საკონსულოს დაეცნენ. საკონსულოს სულ 100 ყაზახი იცავს და თუ შაჰსევანები და ყარადაღელები საკონსულოს დაეცნენ, ესენი მტერის მოგვრებას ვერ შესძლებენ. ამიტომ არღებლში ქვეითა ჯარის ერთ ბატალიონისა, ყაზახთა ორ ასეულისა, საპიორთა რაზმის და ორი ზარბაზნის გარდა, კიდევ გაიგზავნება მეორე საკმაოდ ძლიერი რაზმი. თუ შაჰსევანები და ყარადაღელები საკონსულოს დაეცნენ, შესაძლებელი იყოს მათ წინააღმდეგ შესაფერი ზომების მიღება.

**ვაშინგტონი.** ნაციონალურმა საგეოგრაფიო საზოგადოებამ პირს, ჩრდილოეთის პოლიუსის აღმოჩენისთვის, ოქროს მედალი მიართვა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერთ ავად ვახდა 14, გარდაიცვალა 2, ავად არის 250 კაცი.

### ახალი ამბები

წერა-კითხვის გ. საზოგადოებამ გადასწყვიტა, გაეგზავნოს ილია ჭავჭავაძის ძეგლის გამკეთებელს ათას ორასი მან.

გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის“ მეოცე ნომერი.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების 23 ოქტომბერის კრებაზე, თბილისის საბაღოსნო სკოლის მართველად არჩეულ იქმნა ბატ. მელია. იმავე კრებაზე საზოგადოების საპატიო

წევრად არჩეულ იქმნა აგრონომი კალანტარი, რომელსაც მომავალ ნოემბერში უსრულდება 25 წელიწადი საზოგადო მოღვაწეობისა. არჩევნების შემდეგ კრებამ მთელი საღამო მოაწლო ივ. ჯაბადარის მოხსენებას შესახებ ნერგით პურის მოყვანისა. ბატ. ჯაბადარმა წარსულ ზაფხულს მეტად საგულწიხმიეროდ მოახდინა: დღიურის მეოთხედი მიწა მოხნა, ქვა კენქისაგან გაწმინდა, კვლები ამოიღო, დათესილი პური სამ ფოთოლზე ამოსული კვლებში გადაარგა და ამ პურის ნერგმა 28 1/2 ფუთი მოსავალი მოიყვანა. კრებამ მადლობა გამოუცხადა ბატ. ჯაბადარს და მის მეუღლეს, სასურველად სცნო, რომ ნასწავლ სოფლის მეურნეებმა და სხვამაც ამ გვარი ცდა მოახდინონ და გაზეთების საშუალებით ცდის ნაყოფი საჯაროთ გამოაქვეყნონ.

დღეს დილის 11 საათზე ტფილისის თავ. აზნაურთა საღებუტატო საკრებულოში დანიშნულია ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.

როგორც წვრილი სესხის ინსპექტორი იტყობინება, გრენის გუბერნიაში მოქმედებს 12 წვრილი საკრედიტო დაწესებულება. ამას გარდა წლის განმავლობაში წვრილ კრედიტისთვის ფული ითხოვა 34 სოფელმა. კრედიტი გაეხსნა და მოქმედება დაიწყო ერთმა, ხოლო ხუთს საზოგადოებას კრედიტის გატანის უფლება მიეცა. ყარსის ოლქში მოქმედებს 1 და განჯის გუბერნიაში 2 საკრედიტო დაწესებულება. განჯის გუბერნიაში ამ დაწესებულების დასაარსებლად კრედიტი ითხოვა 2, ხოლო ყარსის ოლქში 7 სოფელმა, მაგრამ არც ერთს ჯერ ფული არ მისცემია.

ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორი ბერ-მონაზონი ფილიპე გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზე ბათანიის სემინარიაში, ხოლო იმის ადგილას დაინიშნა მინსკის სემინარიის მასწავლებელი იაკობოვიჩი.

ამ დღეებში ტფ. სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა ქუთაისში საქმე სტუდენტის პავლე ჯვარიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ს.-დ. პარტიაში მონაწილეობა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. პალატამ ჯვარიშვილის ციმბირში გადასახლება მიუსაჯა.

გვთხოვენ, ქველ-მოქმედებმა ყურადღება მიამჩვიონ ღარიბ ოჯახს ანნა საძაგლიშვილისას. ქვრავს საძაგლიშვილს ჰყავს ოთხი ქალი, უფროსი 11 წლისაა, არავითარი

სახსარი არა აქვთ. ადრესი: გერა, გულაუთის ტუბიკი, № 7.

„ბაკუს“ სიტყვით, ბაკოში ბელენკის სახელოსნოში ორი ინჟენერ-ტექნოლოგი შესდგომია ჰაერობლანის გაკეთებას. ინჟენერები ჯერ-ჯერობით თავიანთ გვარს არ აცხადებენ.

რედაქტორ გამომცემელი  
**ლარია ხაჩილაშვილისა.**

## განცხადება

### განცხადება

ვექმთ მშხანაგებს კაპიტალით  
**ლვინის საქმეში.**  
ფინანსური ღირსითაც  
გაამხანაგდეს.

პირობები შეიძლება გაიგოს „Московские Номера“, № 20, დილის 9—10 საათამდე.

### საგაზა „გუბერნიაში“ ასრულავს სასტავომ საქმეებს

სუფთად, დროზე და იაფად ყველა ენაზე. ოლგისა და სლებცოვის კუთხე № 1.

### მომკმ სამცხალური კლასი ტმრ-სტამფანოვის სავაჭრო სკოლისა

(ჩინის მიღების უფლებით)  
იხსნება ამა წლის პირველ ნოემბერს. სწავლა ნაშუად. 4 1/2 ს.-დან. ნახევარი წლის ფასი, 60 მ. წინ და წინვე უნდა იქმნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.

ველიკო-კინაზის ქ., № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. შესასვლელი მიხეილის პროსპ., № 16-18. (5—2)

## აღმეფა.

აღმეფა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყარეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

### თმის საშუალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებება შემდეგ რამდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

### საუკრბდებოთ ციებ-ცხელებით ავადთყოფებისათვის.

ჩენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებასა ფასი 1 მ. 50 კ.

ღარიგება ყველას თან ახლავს. ვგზავნი ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედიკანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის. ტ. ძეგლის მახლობლად.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.  
Кантора и складъ „Т“. Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.  
(50—4)

**განცხადება**  
შინაგან საქმეთა სამინისტროს  
შეწყობაშია  
პირველი კავკასიის სტენო-გრაფიული კურსები  
**თ. აკოვნიანისა.**  
ტფილისი, მიხეილის პროსპ., № 53.  
შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სექსისა.  
სტენოგრაფია სეფანება ისეთივე სწავლის წყაროს, როგორც ლაზარაკი. იგი საჭიროა ყოველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 23 ოქტომბერს ამა წლის მიიღებთან საღამოს 4—7 1/2 საათ. პროგრამა, პირბეუბი და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების სადგომში კურსს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი.  
(10—7)

რადგან განვიძრახეთ ალექსანდრე ყაზიბეგის დაუბეჭდავლესების გამოცემა, ამისათვის ვთხოვთ, ვისაც-კი ამ მწერლის ახალგაზდობის სურათი მოეპოვება, მოგვაწოდოს შემდეგის ადრესით: ნაძალადევი მაგისტრალნი ქუჩა, № 2, გრიგოლ გარკვიანს. დაბეჭდვის შემდეგ სურათი ახლად დაბეჭდილის ერთის ცალით, მადლობით დაუბრუნდება პატრონს.  
(10—6)

**იგაზღვება და მოკლმ ხანში გამოცვა**  
ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.  
**გეოგრაფიკა**  
(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

სტამბა „გუბერნიაში“ ოლგის და სლებცოვის კუთხე № 1.